# ეკონომიკური განვითარების გეგმა

მუნიციპალიტეტი:წყალტუბო

ქვეყანა:საქართველო

სლოგანი:

წყალტუბო -ეკონომიკურად განვითარებული სპა- კურორტი

2018 წელი

წინამდებარე გეგმა მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ტექნიკური მხარდაჭერით. დოკუმენტი განხილული იქნა მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ და აღიარებულია ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პრინციპების შესაბამის დოკუმენტად. მთელი პასუხისმგებლობა გეგმის შინაარსობრივ მხარეზე ეკისრება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას.

## მერის მიმართვა



წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მსოფლიო დონის სპა კურორტია, ამიტომ განსაკუთრებული როლი მუნიციპალიტეტისათვის სამკურნალო ტურიზმის განვითარებას ენიჭება. მუნიციპალიტეტის კიდევ უფრო წარმოჩენისთვის მნიშვნელოვანია კურორტის პოპულარიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი გარემო-პირობების შექმნა მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლების მიზნით. მთავარ პრიორიტეტს კი ამ მხრივ ეკონომიკური განვითარება, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ეფექტური და მოქალაქეებთან დაახლოებული მართვის განხორცილებით არის შესაძლებელი. 2012 წლის შემდეგ ქვეყანაში აღებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ვითარდება ინფრასტრუქტურა, უმჯობესდება სოციალური მომსახურება, იზრდება საწარმო-დაწესებულებების, კულტურული, სასწავლო, სპორტული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ობიექტების რაოდენობა და ფუნქციონირების ხრისხი.როგორც მთლიანად ქვეყანაში, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც სწრაფი ტემპით ვითარდება მშენებლობის სფერო. მოხარული ვარ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტს მიეცა იმის შესაძლებლობა, ჩართულიყო ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) და ხელი მოაწერა შეთანხმებას, რითაც აქტიურად შეეწყობა ხელი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უზრუნველყოფილ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი პირობების შექმნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობა სრულად აცნობიერებს ყველა დაინტერესებული პირისა და ფენის ჩართულობის მნიშვნელობას ყველა საქმიანობაში, ეს ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეგმის განხორციელების მთელ პროცესში, რადგან თვითმმართველობას მიაჩნია, რომ ეს აუცილებელია არა მართო გეგმით გათვალისწინებული ღონიძიებების რელევანტურობის თვალსაზრისით, არამედ თვით ამ გეგმის განხორციელების წარმატებულობისა და განგრძობადობის უზრუნველსაყოფადაც. მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის არსებობა უმნიშვნელოვანესია მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი პოლიტიკის გატარებისთვის, ამასთან სტრატეგიული დოკუმენტი მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვის არსებობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

დარწმუნებული ვარ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა უფრო ეფექტური და მიზანმიმართული გახდეს ურთიერთთანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებითა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებით. მადლობას ვუხდი ყველა იმ დაინტერესებულ პირს, ბიზნეს სექტორის, სამოქალაქო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ახალგაზრდებს, რომლებიც ჩართული იყვნენ გეგმის შემუშავების პროცესში და თითოეული მათგანის აზრის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტის გეგმის ფორმულირება. მადლობას ვუხდი, ასევე, ევროკავშირის ინიციატივას ,,მერები ეკონომიკური ზრდისათვის" სამდივნოს გეგმის შემუშავების პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის და ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

გრიგოლ იოსელიანი
წყალტუბო მუნიციპალიტეტის მერი

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
გეგმის ასლის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ:
სახელი: მარეხ კანკაძე
თანამდებობა: ეკონომიკური განვითარებისა
და ქონების მართვის სამსახური უფროსი
მისამართი: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა N25
ტელეფონი: +995 591-05-90-13
ელ-ფოსტა:tskaltubo@gmail.com
ვებ-გვერდი: tskaltubo.gov.ge

## 1.მოკლე შეჯამება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანებული, განსაზღვრულ ვადებში გაწერილი, გამოვლენილი რესურსებისა და წყაროების, მათი მიღების გზების, მონაწილეთა და შემსრულებელთა ჩართვის, სასურველი შედეგების მიღების პროცესის მართვის და მონიტორინგის ჩამოყალიბებული სისტემაა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა 2017 წლის 29 დეკემბერს ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც აიღო ვალდებულება ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდროდ თანამშრომლობით, დააჩქაროს მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა, განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, ვინაიდან ეს არის პროცესი, რითაც აქტიურად შეეწყობა ხელი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უზრუნველყოფილ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი პირობების შექმნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდომარეობის SWOT ანალიზი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეებიაა: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ტურისტული რესურსის მრავალფეროვნება-ეკო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, მრავაფეროვანი კუტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა, სოფლის მეურნეობის ზრდის ტენდენცია, აგროტურზმის განვითარებისათვის სათანადო რესურსის არსებობა, ერთ-ერთი ძლიერი მხარე მუნიციპალიტეტისათვის ისაა, რომ მუნიციპალიტეტის 10 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რაც გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრას, ყოველივე ეს უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და რაც მთავარია ნაწილობრივ შეჩერდება მიგრაციის პროცესი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა არა მარტო წყალტუბოს მუნიციპალიტეტს, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. მუნიციპალიტეტს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ხელი შეუწყოს ტურისტების ზრდის ტენდეციას, ინვესტორების დაინტერესებასა და მოზიდვას, ტურისტული მარშუტების განვითარებას. მუნიციპალიტეტს გააჩნია იმის რესურსი, რომ ძლიერი მხარისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით აღმოფხვრას ის სუსტი მხარეები, რაც ძირითადად მოიცავს: უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს, გენერალური გეგმის არარსებობას, კომერციული კრედიტების სიძვირეს, ინვესტიციების დაბალ მაჩვენებელს, ტურისტული პოტენციალის არასაკმარისობასა და ცნობადობას და გააჩნია იმის რესურსი, აიცილოს თავიდან ის საფრთხეები, რის წინაშეც მუნიციპალიტეტი დგას.

მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანი: თუ რისი მიღწევა სურს ადგილობრივად ზრდის, განვითარებისა და დასაქმების თვალსაზრისით და გეგმის განხორციელების შედეგად, მიიღწევა იმის აღწერით, თუ როგორ ეკონომიკურ მომავალს ისურვებდნენ დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისათვის. სწორედ ამ ხედვის საფუძველზე გაიწერა გეგმის მიზნები, ღონისძიებები და განსახორციელებელი პროექტები. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ხედვა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იქნება ეკონომიკურად განვითარებული საერთაშორისო დონის ცნობილი სპა-კურორტი, მიმზიდველი ადგილი ცხოვრებისა და მუშაობისთვის, საინვესტიციო შესაძლებლობებით და ტურიზმის განვითრების თვალსაზრისით.

ამ ხედვის მისაღწევად წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა დაისახა სამი სტრატეგიული მიზანი:

1 .ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია;

2. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სერვისებით მომსახურება

3.მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის განვითარება;

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მთავარი ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2019-2020 წლებში. ძირითადი აქტივობებია ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მოწყობა, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ობიექტების მოწყობა, აგროტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება მაღალმთიან სოფლებში, ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებელი აბრების მოწყობა, მნიშვენლოვანი ობიექტების რეაბილიტაცია, ტურისტული მომსახურების სფეროში კადრების მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების ტრენინგ-კურსების განხორციელება, ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაში და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება, უმუშევართა ერთიანი მუნიციპალური ბაზის შექმნა,

საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრის შექმნა კერძო ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით.

ეკონომიკური განვითარების გეგმა უნდა გახდეს ოფიციალური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება და მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების საქმიანობის კოორდინირება. გეგმის შექმნითა და გეგმაში მითითებული მიზნების განხორციელებით მუნიციპალიტეტმა ერთობლიობაში უნდა შეძლოს ისეთი მთავარი მიზნის მიღწევა, როგორიცაა მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხობრივი ამაღლება ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებით, ხელშემწყობი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებით, ადამიანური რესურსების პოტენციალის განვითარებით, ხარისხიანი სოციალური და საცხოვრებელი გარემოს შექმნით. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით განსაზღვრული ძირითადი აქტივობების დაფინანსება გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით, სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო და საზოგადოებრივი სექტორის ფინანსური თანამონაწილეობით.

## 2.შინაარსი


მერის მიმართვა ........................................................................................................................0
1.მოკლე შეჯამება.............................................................................. Error! Bookmark not defined.
2.შინაარსი ....................................................................................................................................2
3.ცხრილების და გრაფიკების სია, აბრევიატურა..............................................................................
4. გეგმის შესავალი ....................................................................Error! Bookmark not defined.
5.ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი .........Error! Bookmark not defined.
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი...............................................Error! Bookmark not defined.
I ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი ..............................Error! Bookmark not defined.
II. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი...Error! Bookmark not defined.
III. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია ..................................................Error! Bookmark not defined.
IV. წვდომა ფინანსებზე ...................................................................Error! Bookmark not defined.
V. მიწა და ინფრასტრუქტურა...........................................................Error! Bookmark not defined.
VI. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები. ....................................Error! Bookmark not defined.
VII. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა.............................Error! Bookmark not defined.
VIII. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი ..............................................Error! Bookmark not defined.
7. SWOT ანალიზი...........................................................................Error! Bookmark not defined.
8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები.......Error! Bookmark not defined.
9. სამოქმედო გეგმა...........................................................................Error! Bookmark not defined.
10.დაფინანსების სქემა..........................................................................................................24
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები. ..........................................................24


## 3. ცხრილებისა და გრაფიკების სია, აბრევიატურები4

### 3.1 ცხრილები


ცხრილი N1. ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ...............................................9
ცხრილი N2. საწარმოების კლასიფიკაცია მათი ზომის მიხედვით: .......................................................9
ცხრილიN3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა ......9
ცხრილი N4. ზრდის სექტორები (ქვე-სექტორები) და მათთან დაკავშირებული გამოწვევები ...........12
ცხრილი N5. ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობები ..........................................................................13
ცხრილი N6.კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში .......................14
ცხრილი N7.უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული მდგომარეობა...............................................................15
ცხრილი N8. როგორ აღიქვამენ მოქალაქეები თავის მუნიციპალიტეტს................................................16
ცხრილი N9. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა ..........................................................................25


### 3.2 გრაფიკები


გრაფიკა N1. დასაქმების მაჩვენებელი იმერეთის რეგიონისთვის ..........................................................6

### 3.3 აბრევიატურა

M4EG - მერები ეკონომიკური ზრდისთვის ......................................................Error! Bookmark not defined.
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განთარება ...............................................Error! Bookmark not defined.
LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ............................Error! Bookmark not defined.
PPD -კერძო და საჯარო დიალოგი .....................................................................Error! Bookmark not defined.
PPP -კერძო და საჯარო თანამშრომლობა.........................................................Error! Bookmark not defined.
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები..Error! Bookmark not defined.
შშმ პირი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ..............................Error! Bookmark not defined.

### 3.4 დანართები

**დანართი ,,ა’’გეგმის შემუშავების პროცესი**

დანართი N1: სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.....Error! Bookmark not defined.
დანართი N2 : შეხვედრის ოქმები .......................................................................Error! Bookmark not defined.
დანართი N3: მერის წერილები სხვადასხვა უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ და შესაბამისი პასუხები. ..........................................................................................Error! Bookmark not defined.
დანართN4: ფოტო-მასალა, რომელიც ასახავს შესხვედრებისა და გეგმის შემუშავების პროცესებსError! Bookmark not
დანართი N5: კითხვარები შევსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ..Error! Bookmark not defined.

## 4. გეგმის შესავალი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა 2017 წლის 29 დეკეკმბერს ხელი მოაწერა ინიციატივას ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის’’, რომლის ფარგლებშიც მომზადდა მუნუციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა. გეგმაში მითითებული მიზნებით მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რათა ყოველმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული შედეგებით და ამავე დროს, შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) შემუშავებულ იქნა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით (PPP), ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების შესაბამისად. გეგმაში მითითებული მთავარი მიზნებით, მთავარი ღონისძიებებით აქტიურად შეეწყობა ხელი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უზრუნველყოფილ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი პირობების შექმნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. შეთანხმებით გათვალისწინებული 5 მიმართულებიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდროდ თანამშრომლობით, დააჩქაროს მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა, განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა სამი მიმართულების ძალისხმევის გაძლიერებით. ესენია: 1) მიწა და ინფრასტრუქტრა; 2) ადამიანური კაპიტალი და ინკლუზიურობა; 3) გარე პოზიციონირება და მარკეტინგი. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივამ მუნიციპალიტეტს მისცა შესაძლებლობა, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განეხილა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის არსებული საჭიროებანი, გაეთვალისწინებინა თითოეული მათგანის მოსაზრება, მათთან ერთად დაესახა ის მიზნები და ამოცანები, რაც საფუძვლად დაედებოდა სამოქმედო გეგმის განხორციელებას ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის. გეგმა ნაწილობრივ დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობებში მდებარეობს და იმერეთის რეგიონს მიეკუთვნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი – 700,1 კმ$^2$. ადმინისტრაციული ცენტრია – ქ. წყალტუბო. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქვეყნის დედაქალაქთან შორის – 249 კმ-ია, ტრანსპორტირების დრო სამი საათია, მუნიციპალიტეტი 7 კმ-ითაა დაშორებული სიდიდით საქართველოს მეორე ქალაქთან ქუთაისთან. წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობით შესაძლებელია შეიქმნას ერთიანი ტურისტული სივრცე მით უმეტეს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და უახლოეს ფოთის პორტს შორის - 98 კმ. წყალტუბოს

მუნიციპალიტეტში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ქალაქი წყალტუბო - ადმინისტრაციული ცენტრი და 49 სოფელი, რომელთაგან ორი დაუსახლებელია.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 56 883-ს შეადგენს, საიდანაც ქალაქად მცხოვრებია 20%, სოფლად 80%, მათ შორის 50.05%-ს ქალები, ხოლო 49,95%-ს მამაკაცები შეადგენენ. მამაკაცების საშუალო ასაკია - 35.8 წელი, ხოლო ქალების -39.9. სულ შრომისუნარიანი მოსახლეობაა 65% (მეტი ნაწილი თვითდასაქმებულებზე მოდის). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 106 კაცს 1/კმ²-ზე. მოსახლეობის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: ქართველები 97,5%, ეროვნული უმცირესობა 2,5%. ასევე, აფხაზურ-ქართული კონფლიქტის გამო 1993 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 5754 იძულებით გადაადგილებული პირია აფხაზეთიდან.

2014-2017 წლების მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან შედარებით მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობის კლება გაცილებით მაღალია ქალაქში, სადაც კლების მაჩვენებელი 30%-ზე მეტია, ვიდრე მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებელი 15%-ით განისაზღვრება. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, 34%-ითაა შემცირებული, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ბუნებრივი კლების და მეტწილად მიგრაციული პროცესებით. მოსახლეობის რაოდენობის კლების ტენდენციის ძირითადი მიზეზია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც ძირითადად დასაქმების პრობლემით არის გამოწვეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახების საკმაოდ მაღალი რაოდენობა პრაქტიკულად გადასულია საცხოვრებლად დედაქალაქში უმეტესად ახალგაზრდები), ძირითადი ნაწილი კი საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მეორე, უმთავრეს მიზეზად შეიძლება დასახელდეს მაღალმთიანი რეგიონის ძირითადი ნაწილის მეწყერულ და დატბორვის ზონაში მდებარეობის საკითხი.

მუნიციპალიტეტში დასაქმების და უმუშევრობის ჭრილში ოფიციალური მონაცემები არ მოიპოვება. თუმცა, ხელმისაწვდომია მონაცემები იმერეთის რეგიონისათვის. 2014-2017 წლების პერიოდისათვის აქტიურობის და დასაქმების მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად სტაბილურია და საშუალოდ შეადგენს შესაბამისად - 65%-ს, შრომისუნარიან დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში ძირითადი წონა - 50%- თვითდასაქმებულებზე მოდის. შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული წილი განისაზღვრება შემდეგნაირად: ქალი 35%, კაცი 30%.

დიაგრამა N1: დასაქმებისმაჩვენებელი იმერეთის რეგიონისთვის




წინამდებარე გეგმა სრულ თანხვედრაშია ეროვნულ დონეზე არსებულ სტრატეგიებთან: საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან ,,საქართველოს 2020'',, საქართველოს ,,ტურიზმის სტრატეგია 2025'', საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. თითოეულ სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, განსაკუთრებულ როლზე იმერეთის რეგიონებიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტზე, როგორც ტურიზმის განვითარების ცენტრზე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა არ არის ყოვლისმომცველი, ვერ ჩაანაცვლებს სხვა არსებულ გეგმებს, თუმცა ეს არის გეგმა ვიწროდ ფოკუსირებული კერძო სექტორის განვითარებაზე, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას-სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. მუნიციპალიტეტისა და კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა გაგრძელდება როგორც გეგმის განხორციელების, ასევე, მონიტორინგის პერიოდშიც.

## 5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავები პროცესი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის. დოკუმენტის მომზადებისას გაიმართა კონსულტაციები ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან, მათ შორის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა: პირველი ეტაპი: მერის მიერ სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიქმნა 4-კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელთაგან ერთი იყო ბიზნესის წარმომადგენელი, ერთი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი და ორი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების LED ოფიცერი. მეორე ეტაპი: ჯგუფის წევრები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ შეხვდა და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია. ამ ეტაპზე მოხდა პატრნიორთა საბჭოს შექმნა, რომლის შემადგენლობაში, შედიოდა 4 პირი კერძო სექტორიდან, 2 პირი სამოქალაქო საზოგადოებიდან, 2 პირი სასტუმროს მენეჯერი, რომელთა მიერ გაცემული კონსულტაციებისა და ხმათა უმრავლესობით ჩამოყალიბდა SWOT ანალიზი, საერთო ხედვა, სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო გეგმა. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობით პარტნიორთა საბჭოსა და ყველა დაინტერესებული პირების მონწილეობით მუნიციპალიტეტში თვეში ორჯერ იმართებოდა სამუშაო შეხვედრა. გამართული შეხვედრებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა შეხვედრა, რაც დაკავშირებული იყო ეკონომიკური განვითარების SWOT ანალიზის ჩამოყალიბებასთან, საერთო ხედვასთან, მთავარ მიზნებთან და მთავარ ღონისძიებებთან. შეხვედრებისა და საერთო ანალიზის გაზიარების საფუძველზე გამოვლიდნა ეკონომიკური განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების საერთო ხედვა, მთავარი მიზნები, რომლის განხორიელებით მიიღწევა საერთო ხედვა, ის ქმედებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს საერთო ხედვის მიზნების განხორციელებას. ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენის პროცესში აქტიურად იყო ჩართული კერძო სექტორი, კერძოდ, სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლები, მსხვილი და მცირე მეწარმეები, სასტუმროების მფლობელები, სხვადასხვა საზოგადოებრივი და სამოქალაქო ორგანიზაციები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი წარმომადგენლები, ადგილობრივი რესურსცენტრის წარმომადგენელი, ადგილობრივი ტურიზმის ცენტრის წარმომადგენელი და პედაგოგები, მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საბანკო სექტორის წარმომადგენლები, დაინტერესებული მოსახლეობა და ახალგაზრდები. გარდა წინასწარ დაგეგმილი და უშუალო შეხვედრებისა, მომზადდა კითხვარი, რომელიც მასობრივად გავრცელდება ბიზნეს წრეებში, სამოქალაქო საზოგადოებებში, სტუდენტ-ახალგაზრდებში, გავრცელდა სოციალურ ქსელებში. ამ კითხვარით შევძელით სამოქალაქო აზრის, შეხედულებების, საჭიროებების, იდეებისა და სურვილების დადგენა, შესწავლა, ანალიზი და მოვახდინეთ LED გეგმის ფორმირებისას გათვალისწინება. გეგმის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებას: ინფორმაციის მოძიება-ანალიზი, მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილის განსაზღვრა, მოსახლეობის გამოკითხვა ანკეტირების საშუალებით, გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თანამშრომლობის ყველაზე წარმატებული ფორმა აღმოჩნდა მხარეთა შორის გამართული დიალოგი და ამ დიალოგის საფუძველზე მხარეთა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება. ერთობლიობაში განხორციელებული მთელი რიგი განხილვების დროს გამოიკვეთა არსებული პოტენციალის გამოყენებისა და გამოწვევების დაძლევის კონცეფცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საერთო ხედვა, მთავარი მიზნები, პრიორიტეტები და მთავარი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის უახლოესი ორი წლის განმავლობაში. მიღებული ინფორმაციების საფუძველზე გეგმის საბოლოო ვერსია შეიქმნა, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსახლეობის დაინტერესება, რაც ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში მათ მონაწილეობას უზრუნველყოფს.

## 6.ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

### I. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ეკონომიკა ძირითადად ემყარება სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და ტურიზმს. მთლიანი მუნიციპალური პროდუქტის 42% მრეწველობაზე მოდის, 20% -

სოფლის მეურნეობაზე, 15% - ვაჭრობაზე, 10% - მშენებლობის დარგზე, 6% - ტურიზმზე, 4% - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგზე. 2014 წლის მდგომარეობით სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობია 29 000 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 13 000 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა. 2017 წლის მდგომარეობით კი კერძო საკუთრებას შეადგენს 13 000 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, ოდნავ გაზრდილია მრავალწლიანი კულტურები, რაც განპირობებულია თხილისა და კაკლის გაშენებით. მუნიციპალიტეტის სიახლოვე ქუთაისთან და მისი კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას, როგორც მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურებისათვის, ასევე სასათბურე მეურნეობების განვითარებისათვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წამყვანი ეკონომიკური დარგი წლიური ბრუნვისა და მოგების მიხედვით სოფლის მეურნეობაა, რასაც ხელს უწყობს ნაყოფიერი ნიადაგი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში წარმოადგენს ბოსტნეულ-ბაღჩეული და მწვანილეული კულტურები ძირითადი საწარმოო ბაზას. სასათბურე მეურნეობით დაკავებულია ფერმერული მეურნეობების 90%, მათი დიდი ნაწილი ზამთრის პერიოდში ორიენტირებულია მწვანილეული კულტურების (ძირითადად ცერეცო) წარმოებაზე, რომელიც ჩრდილოეთ ქვეყნებში ექსპორტზე გადის, წარმოებული პროდუქციის დიდი რაოდენობის და ბაზრის არასტაბილურობის გამო ხშირ შემთხვევებში მისი ფასი თვითღირებულებაზე ბევრად დაბალია, რაც მწარმოებლის ეკონომიკურ შემოსავალზე მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს, სათბურების დივერსიფიცირება ზამთრის პერიოდში და მათი შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა (გათბობა, სამაცივრო დანადგარები) საშუალებას მისცემს ფერმერს აწარმოოს ადგილობრივი ბაზრისათვის მოთხოვნადი პროდუქცია (ბოსტნეული, სალათები, რომელთა იმპორტირება ზამთრის პერიოდში ხდება ქვეყანაში და საკმაოდ მოთხოვნადია. სოფლის მეურნეობის კუთხით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მწვანილისა და ბოსტნეულის მწარმოებელი კომპანია ,,ჰერბია'', რომელიც ბაზარს ეკოლოგიურად სუფთა უსასუქო პროდუქციას აწვდის. კომპანია ფლობს ,,Global Gap'' სერთიფიკატს და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოყვანილ პროდუქციას მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი გზა ხსნილი აქვს. დღესდღეობით კომპანია წელიწადში 15-მდე სახეობის 500 ტონა პროდუქციას აწარმოებს, მასში დაახლოებით 80 ადამიანია დასაქმებული (ძირითად ადგილობრივი მოსახლეობა) და საქართველოში შეფუთული მწვანილის ბაზრის 95% უჭირავს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს არსებული რესურსის გათვალისწინებით გააჩნია მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა. ესენია: ეკოტურზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი. სამკურნალო ტურიზმის კუთხით წყალტუბო მსოფლიო დონის კურორტია, იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია რეკრეაციული რესურსებით, რომელთაგან აღსანიშნავია თერმულ-რადონული წყლები. მინერალური წყალი კურნავს შემდეგ დაავადებებს: კიდურების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, გულისა და სისხლძარღვების, ნივთიერებათა ცვლის მოშლილობის, ენდოკრინული სისტემის, გინეკოლოგიურ დაავადებებს. წყალტუბოში აგრეთვე მკურნალობენ რევმატიზმით, პოლიომიელიტით და ცერებრალური დამბლებით დაავადებულები. სამკურნალო ტურიზმის განვითარების კუთხით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციუნირებს მაღალი სტანდარტების ოთხი აბაზანა, რომელიც ემსახურება როგორც დამსვენებლებს, ასევე, ვიზიტორებს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს სეზონურ კურორტს, ეს არის კურორტი წელიწადის 12 თვის განმავლობაში. 2017 წელს დამსვენებელთა რაოდენობა შეადგენდა 13164, ხოლო 2018 წლის 6 თვის მონაცემებით დამსვენებელთა რაოდენობა 3 %-ითაა გაზრდილი.

ასევე, ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა კარსტული მღვიმეები. მღვიმეების მიკროკლიმატი გამოიყენება ბრონქიალური ასთმის, სტენოკარდიის, ჰიპერტონიული დაავადებების, ნევროზის და ქრონიკული პნევმონიის სამკურნალოდ. განსაკუთრებული კლიმატი ახასიათებს ,,პრომეთეს'', ,,სათაფლიისა'' და ,,საწურბლიას'' მღვიმეებს. უცხოელი ტურისტების დიდ ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სწორედ ეკო და სათავგადასავლო ტურზმი იზიდავს. გარდა დაცული ტერიტორიებისა, მღვიმეებისა, ასევე, ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის სხვადასხვა ისტორიული ძეგლები: თამარის ციხე დარბაზი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის უძველესი ეკლესია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ასევე გიორგი ახვლედიანისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმები. დიდი ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი „ოტიას ეზო“. 2017 წელს ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენდა 249430 კაცს, 2018 წლის ექვსი თვის მონაცემებით ვიზიტორთა რაოდენობა 30%-ით გაზრდილია.

წყალტუბო, ასევე, ცნობილია სამთო წიაღისეული სიმდიდრეებით. მათგან აღსანიშნავია სამრეწველო მნიშვნელობის ბენტონიტური თიხა, მუნიციპალიტეტში გვხვდება კირქვებისა და გრანიტის საბადოები, სააგურე თიხა.

მუნიციპალიტეტში ფუნქცონირებს სანატორიუმები ,,სპა რესორტი'', პანსიონატი ,,წყალტუბო'' და სასტუმროები ,,პლაზა'', ,,ოაზისი'', ,,არგო'', ,,პრომეთე'' ,,იმერეთი''. ქალაქში ფუნქციონირებს ოთხი სააბაზანო, ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც კერძო საკუთრებას წარმოადგენენ და მათში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში პროდუქციის გამოშვებამ 2016 წელს 2014 წელთან შედარებით შეადგინა 95,3 მლნ. ლარი (31535405 ევრო), რომელიც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა და მუნიციპალიტეტის საერთო მონაცემის 20% შეადგინა. მუნიციპალიტეტში ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებელი 2016 წელს იყო 128,3 მლნ. ლარი (42,455330 ევრო), რომელიც ძალიან მაღალი მაჩვენებელია, თუმცა წინა წლის მონაცემზე 11%-ით ნაკლებია. დასაქმებულთა რაოდენობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 65%-ს შეადგენს, საიდანაც მეტი წილი თვითდასაქმებულებზე მოდის. შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 2016 წელს იყო 509 ლარი (170 ევრო), რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებლის 57%-ია და საშუალო ხელფასს 16%-ით ჩამოუვარდება. მუნიციპალიტეტში დასაქმების ძირითად წყაროს წარმოადგენს საჯარო სექტორი. ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულია 174, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში 858 ადამიანი. ასევე, დამსაქმებელი ძირითადი ორგანიზაციებია: მუნიციპალიტეტიას ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ორგანიზაციები, კერძო სექტორის საკუთრებაში არსებული სასტუმროები, სააბაზანოები და რესტორნები, სამედიცინო დაწესებულებები, სამშენებო კომპანიები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა: სოფლის მეურნეობა, კერძო სექტორი, სასტუმროები და რესტორნები, მეწარმეობა, უცხოეთიდან გზავნილები, საბიუჯეტო სექტორი, რომელიც ამ ეტაპზე დასაქმების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

**ცხრილი N1. ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები**

| ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2016) | ერთეული | მონაცემი |
|---|---|---|
| პროდუქციის გამოშვება | მლნ. ლარი | 95,3 |
| ბრუნვა | მლნ. ლარი | 165,5 |
| დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა | კაცი | 5302,0 |
| დაქირავებულთა საშუალო წლიური რაოდენობა | კაცი | 4112,0 |
| დაქირავებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება | ლარი | 509,0 |
| დამატებული ღირებულება | მლნ. ლარი | 39,3 |
| ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში | მლნ. ლარი | 6,1 |

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ოფიციალური სტატისტიკის თანახმად რეგისტრირებულია 6446 ბიზნეს სუბიექტი, მათ შორის მოქმედია 1614.

**ცხრილი N2. საწარმოების კლასიფიკაცია მათი ზომის მიხედვით:**

| დასახელება | თანამშრომელთა რაოდენობა | წლიური ბრუნვა ევროში |
|---|---|---|
| მცირე ბიზნესი | 15- 50 | 7 მილიონამდე |
| საშუალო ბიზნესი | 50 – 200 | 10 დან 30 მილიონამდე |
| მიკრო ბიზნესი (ინდივიდუალური მეწარმე) | 1-14 | 1 მილიონი |

სექციის მიხედვით ბიზნეს სუბიექტები შემდეგნაირად ნაწილდება:

**ცხრილი N3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა**

| სექცია № | სექციის დასახელება | სულ | მ.შ აქტიური | მიკრო | მცირე | საშუალო | მსხვილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფლის მეურნეობა ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 67 | 20 | | 100% | | |
| 2 | თევზჭერა, მეთევზეობა | 3 | 1 | 100% | | | |
| 3 | სამთომოპოვებითი მრეწველობა | 36 | 16 | 20% | 80% | | |
| 4 | ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 10 | 4 | 100% | | | |
| 5 | დამამუშავებელი მრეწველობა | 260 | 119 | 100% | | | |
| 6 | მშენებლობა | 79 | 32 | | 100% | | |
| 7 | ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 1071 | 535 | | 100% | | |
| 8 | სასტუმროები და რესტორნები | 100 | 53 | | 70% | 30% | |
| 9 | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 213 | 112 | 50% | 50% | | |
| 10 | საფინანსო საქმიანობა | 28 | 13 | | | | |
| 11 | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 123 | 69 | 100% | | | |
| 12 | განათლება | 13 | 5 | 100% | | | |
| 13 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 57 | 29 | 100% | | | |
| 14 | კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 86 | 44 | 100% | | | |
| 15 | სხვა საქმიანობა | 4300 | 562 | 100% | | | |
| | სულ | 6446 | 1614 | | | | |

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2017 წელს 2014 წელთან შედარებით საწარმოთა რაოდენობის მაღალი ზრდა ძირითადად დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, სოფლის მეურნეობა/ნადირობა და სატყეო მეურნეობა, ასევე დარგობრივ ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასტუმროები და რესტორნები.

ტურისტების რაოდენობის ზრდამ ბიძგი მისცა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ არსებული სასტუმროები და საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი/ჰოსტელები სეზონური დატვირთვის დროს სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, რის გამოც მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს დევნილებისაგან დაცარიელებული და ამ ეტაპზე უსარგებლო სანატორიუმების გასხვისება და ინვესტორების მოზიდვა. ჯერჯერობით ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯებია სანატორიუმების: „მეშახტის“, „ივერიის“ ,,ცისკარის’’ პირობებიანი პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზება, რაც ითვალისწინებს მაღალკომფორტული სასტუმროების მოწყობას, ეს კი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს სანატორიუმები, სადაც განთავსებული არიან იძულებით გადაადგილებული პირები, მიზანშეწონილია სახელმწიფომ გადაწყვიტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხი, რაც ნაწილობრივ დაწყებიულია და გამოთავისფლებული სანატორიუმების პრივატიზებით ხელი შეუწყონ კერძო ბიზნესის განვითარებას სასტუმრო ინდუსტრიაში.

## II. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თანამშრომლობა შესაბამისი მექანიზმების გამოძებნით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესის წინსვლას. ადგილობრივი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტია პარტნიორებთან (კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) ურთიერთანამშრომლობა, რათა გაუმჯობესდეს ადგილობრივი ბიზნეს გარემო და ამგვარად შეიქმნას ხელშემწყობი პირობები კერძო სექტორის მიერ მართული ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების გაზრდისათვის, რაც ერთნაირად მოუტანს სარგებელს მთელს საზოგადოებას ადგილობრივი თუ ეროვნული მასშტაბით. მართალია მუნიციპალიტეტში არ არსებობს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ან რაიმე ინსტიტუტი, რომლის ფარგლებში ბიზნესის წარმომადგენლები შეძლებდნენ ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთთანამშრომობას, მუნიციპალიტეტი გამოხატავს მზაობას ითანამშრომლოს კერძო და სამოქალაქო საზოგადეობასთან და ყველა დაინტერესებულ პირთან, თუმცა პრობლემა, რომელიც კერძო და საჯარო ურთიერთთანამშრომლობის (PPP) დროს გამოიკვეთა, აღმოჩნდა ეფექტური საკომუნიკაციო არხების არარსებობა და თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე კერძო სექტორის მხრიდან, რაც სამომავლოდ გათვალიწინებული იქნება მუნიციპალიტეტის მიერ და ერთობლიობით, დანერგილი დიალოგებით, ურთიერთშეხვედრებით ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის საერთო საქმის მიღწევას, როგორიცაა ეკონომიკური განვითრება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის როლი კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება, ინფრასტურტურის და კომუნიკაციების უზრუნველყოფა, ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერა. თვითმმართველობების მიერ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ და კერძო–საჯარო ერთობლივი პროექტების განხორციელებამ, შესაძლოა, ბევრ ადგილობრივ მოსახლეს შეუქმნას ახალი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა (იგივე, ტურიზმის მიმართულებით). შესაბამისად საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობა უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს და ამისათვის მუნიციპალურ დონეზე უნდა შეიქმნას კერძო სექტორთან თანამშრომლობის სპეციალური კომისიები, რომლებიც მუდმივად იქნებიან კომუნიკაციაში ადგილობრივ მეწარმეებთან ახალი ბიზნეს– შესაძლებლობის გამოვლენა–განვითარების კუთხით. დღეის მდგომარეობით კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობა ძირითადად გამოიხატება ინდივიდუალური შეხვედრებით მერთან და მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი კერძო სექტორს უწევს კონსულტაციებს და აძლევს რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

## III. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ხელსაყრელი გარემოს შექმნა კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის. გეგმის მთავარი პრინციპია კერძო სექტორისათვის უფლების უზრუნველყოფა მცირე, ეფექტიან და გამჭვირვალე პირობებში. ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანური რესურსები და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ამ ვითარებაში იკვეთება მუნიციპალიტეტის ახალი როლი, წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და დაცული ბიზნეს გარემო. მისი ამოცანაა, აგრეთვე, წაახალისოს ბიზნესის განვითარება ინოვაციების და სამეწარმეო უნარების ხელშეწყობით, რომელიც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელია. მუნიციპალიტეტი გამოხატავს მზაობას, ითანამშრომლოს კერძო და სამოქალაქო სექტორთან. ანალიზის, კვლევისა და კერძო სექტორთან დიალოგის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა ბაზრების კვლევის, ახალი ბაზრების მოძიებისა და ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობის ამაღლებით. საჭიროდ მიგვაჩნია მუნიციპალიტეტის ჩართულობა სხვადასხვა კერძო ინიციატივების მოზიდვაში სახელმწიფოსთან ერთად, რაც მნიშვნელოვნად აისახება კერძო სექტორის საქმიანობაზე. კერძო სექტორის წარმომადგენლები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას სამოქალაქო და კერძო სექტორის ნაკლებ ჩართულობაზე, ეფექტური კომუნიკაციის არარსებობაზე, სუსტ კომერციულ ინფრასტრუქტურასა და ბიზნესის მხარდამჭერ ქმედითი ორგანიზაციების არ არსებობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დანერგილი ელექტრონული სერვისები ხელს უწყობს კერძო სექტორის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერის შესახებ განთავსებულია შესაბამის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა გამოცხადებულ ტენდერებში, ასევე, ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების შესახებ, რომელთა პრივატიზების შემთხვევაში კერძო სექტორის წარმომადგენლებს მიეცემათ შესაძლებლობა საინვესტიციო ვალდებულებების განხორციელებაზე და უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გამოცხადებულ აუქციონებში, მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებულია პროცედურები სამშენებლო ნებართვასთან დაკავშირებით. პროცედურები წარიმართება აბსოლუტური გამჭირვალობით. მუნიციპალიტეტის არ გააჩნია სათანადო საინფორმაციო არხები, რომელიც გაზრდის გამჭირვალობასა და დაეხმარება ბიზნესს მიიღოს ინფორმაცია ერთ ადგილას.

**ცხრილი N4. ზრდის სექტორები (ქვე-სექტორები) და მათთან დაკავშირებული გამოწვევები**

| (ზრდის) სექტორი | ძირითადი გამოწვევები, რომელთა დასაძლევად სავარაუდოდ აუცილებელია ბიზნესის დახმარება |
|---|---|
| სოფლის მეურნეობა | სახელმწიფო, მუნიციპალური და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ხელშემწყობი პროგრამების შესახებ მეტი ინფორმირებულობა. მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება სპეციალურად საშტატო ერთეულის დამატება კერძო სექტორის წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით. |
| ტურიზმი | ბიზნესისათვის რეკომენდაციების, სიახლეებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულება.<br><br>მინიმალური ბიუროკრატიული საფეხურები ინვესტორებისათვის. |

## IV. წვდომა ფინანსებზე

მუნიციპალიტეტის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია. შესაბამისად, ჩვენთვის, მუნიციპალიტეტისათვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მეწარმეობის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, კერძო სექტორისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება და მაღალი დამატებითი ღირებულებების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა. ანალიზის, მუნიციპალიტეტში გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და საშუალო, ასევე, დამწყები ბიზნესისთვის.

მუნიციპალიტეტში საკმაოდაა განვითარებული საბანკო სექტორები. კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული სესხები მრავალფეროვანია, თუმცა მაღალია საპროცენტო განაკვეთები, მცირეა საშეღავათო პერიოდი. ასევე, მუნციპალიტეტში არსებობს მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, თუმცა მათი საქმიანობა, ძირითადად ორიენტირებულია სამომხმარებლო სესხების გაცემაზე და არა მცირე და დამწყების ბიზნესის დაფინანსებაზე, ნაკლებია ინფორმირებულება მეწარმეთა მხარდაჭერის სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებზე. საპროცენტო განაკვეთი ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. მუნიციპალიტეტში ბიზნესის სათანადო განვითარებას ხელს უშლის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სუსტი კომერციული და საბაზო ინფრასტრუქტურა, მოსახლეობისა და ადგილობრივი ბიუჯეტების მწირი შემოსავლები, ინვესტიციების მცირე მოცულობა, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, საბანკო კრედიტების სიძვირე და ალტერნატიული კაპიტალის დაბალი შესაძლებლობები, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების ნაკლებობა.

მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ დადებით ნაბიჯებს შეღავათიან კრედიტებზე, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ დანერგილი პროგრამის ფარგლებში, როგორც არსებული ბიზნესის გაფართოებაში, ასევე, ახალი ბიზნესის წამოწყებაში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოქმედი კერძო სექტორი საკმაოდ აქტიურადაა ჩართული ისეთი პროგრამებში, როგორიცაა ,,აწარმოე საქართველო'', დანერგე მომავალი''. ,,შეღავათიანი აგროკრედიტი", ,,მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა'' და სხვა, დაფინანსების მოპოვების შემდეგ კერძო სექტორს

მიეცა შესაძლებლობა, შეექმნათ ახალი საწარმოები, გაეფართოვებინათ არსებული საწარმოები და განვითარებინათ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესი. ,,აწარმოე საქართველოს'' ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კერძო სექტორი მიმართულია განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, აქ საუბარია მეტწილად საოჯახი ტიპის სასტუმრო ჰოსტელებზე, რითაც ადგილობრივ მცირე და საშუალო მეწარმეებს მიეცათ შესაძლებლობა, განავითარონ სასტუმრო ინდუსტრია, შექმნან სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას. წყალტუბოს მუნიციპალტეტიის მერიაში არ არსებობს ერთიან საინფორმაციო სივრცე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მეწარმეს შეეძლება, მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან არსებული ფინანსური თუ ტექნიკური დახმარების მექანიზმების შესახებ. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ მოსახერხებელი იქნება და დაეხმარება დაინტერესებულ პირებს, გაეცნონ მათთვის საჭირო ინფორმაციას საკუთარი საქმის წამოწყებისა თუ განვითარების კუთხით.

**ცხრილი N5. ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობები**

| დაწესებულება/ დონორი ორგანიზაცია (მათ შორის, ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები | შესაძლო ბენეფიციარები (კლიენტები/ბენე ფიციარები) | სასურველი ეკონომიკური სექტორები/ საქმიანობები | მინ და მაქს. თანხები რომლებიც უნდა იქნეს უზრუნველყო ფილი | მოთხოვნები (სესხის უზრუნველყოფა, სხვა) |
|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა „დანერგე მომავალი“ | ბიზნესმენები; ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 10000-100000 ლარი 3448-34482 ევრო | უზრუნველყოფა მოითხოვება |
| სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტი“ | ბიზნესმენები; ფერმერები | სოფლის მეურნეობა | 20000-1000000 ლარი 6896-344827 ევრო | უზრუნველყოფა მოითხოვება |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო („აწარმოე საქართველოში“) | ბიზნესმენები; ფერმერები | სოფლის მეურნეობა; მრეწველობა; სასტუმროს ინდუსტრია | 10000-5000000 ლარი 3448-1724137 ევრო | უზრუნველყოფა მოითხოვება |

## V. მიწა და ინფრასტრუქტურა

შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის კერძო სექტორს ბიზნესის განვითარებისათვის ესაჭიროება კონკრეტული ფიზიკური ადგილმდებარეობა და თანამდეროვე სტანდარტებით მოწყობილი სივრცე: სახელოსნოები, ოფისები, წარმოებისა და მომსახურების სივრცე. მიწაზე ხელმისაწვდომობა - პრობლემას არ წარმოადგენს კერძო ბიზნესისა და ინვესტორებისთვის. მართალია მუნიციპალიტეტში მრავლადაა დაუტვირთავი და დაურეგისტრირებელი საინვესტიციო ადგილები, თუმცა ადგილობრივ თვითმმართველობას არ გააჩნია ფართო არეალი საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობების დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის მხრიდან დაინტერესებაა საოფისე ფართების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, რაც დაკმაყოფილდა მუნიციპალიტეტის მიერ და სარგებლობის უფლებით, იჯარით, გადაეცათ კერძო მეწარმეებს საოფისე საქმიანობის განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებები. ასევე, თავიანთი განცხადებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით იქნა გაცემული ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე თავისუფალი მიწის ნაკვეთები, მსუბუქი კონსტრუქციის განთავსების მიზნით კომერციული საქმიანობის განხორციელებისათვის. პრივატიზების გზით კერძო სექტორმა (შპს) ელექტრონული აუქციონის გზით შეიძინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, შენობა-ნაგებობა პირობებით, რომელზეც 24 თვის ვადაში უნდა შესრუკდეს უძრავი ქონების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ექსპლუატაციაში მიღება, აღჭურვა, ფუნქციონირების დაწყება, ეზოს კეთილმოწყობა და საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით უნდა განახორციელოს არანაკლებ 1 (ერთი) მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია. დღეის მდგომარეობით ამ კომპანიის მიერ შექმნილია სამუშაო ადგილები, დასაქმებულია რამდენიმე ათეული ადგილობრივი მოსახლე. კერძო სექტორის მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის მერია

მიმართავს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადმოცემის მოთხოვნით შემდგომში კერძო სექტორისათვის პრივატიზების მიზნით. მომატებული ტურისტების რაოდენობამ ბიძგი მისცა მუნიციპალიტეტში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ არსებული სასტუმროები და საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი/ჰოსტელები სეზონური დატვირთვის დროს სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, რის გამოც მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს დევნილებისაგან დაცარიელებული და ამ ეტაპზე უსარგებლო სანატორიუმების გასხვისება და ინვესტორების მოზიდვა. ჯერჯერობით ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯებია სანატორიუმების: „მეშახტის", „ივერიის" ,,ცისკარის'' პირობებიანი პირადპირი განკარგვის წესით, ინვესტიციით, პრივატიზება, რაც ითვალისწინებს მაღალკომფორტული სასტუმროების მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ყოფილი სანატორიუმების პრივატიზების პროცესი, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, კვლავაც გაგრძელდება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, კერძო სექტორის წარმომადგენელს, ინვესტორს შესაძლებლობა ექნება, განავითარონ თავიანთი ბიზნესი და გახდნენ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესმენები.

### ცხრილი N 6. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში

| კერძო სექტორის მიერ დასახელებული საჭიროებები ინფრასტრუქტურის ტიპის მიხედვით | არსებული მიწოდება ამ სეგმენტში | შესაძლო სამომავლო მოთხოვნები (6 წლის განმავლობაში) |
|---|---|---|
| საოფისე ფართების გამოყოფა | ნაწილობრივ მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულია კერძო სექტორისთვის საოფისე ფართები. | გაზრდილია მოთხოვნა საოფისე ფართების გაცემაზე. |
| პირობების გარეშე ყოფილი სანატორიუმების პრივატიზება. | მუნიციპალურ ბალანსზე არ არის არცერთი საპრივატიზაციო შენობა | შენობა-ნაგებობებზე/ფართებზე მოთხოვნის ზრდა |
| ბიზნესისითვის საერთო სივრცის შექმნა | ბიზნესისთვის საზიარო და ინდივიდუალური ფართები არ არსებობს | საზიარო ფართზე , საერთო სივრცეზე მოთხოვნის ზრდა |

## VI. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

მნიშვნელოვანი საკითხია კერძო სექტორმა შეძლოს ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო დამხარების მიღება მუნიციპალიტეტში, ასევე, მეწარმეებს ჰქონდეთ შეგრძნება, რომ მათი საჭიროებები გათვალისწინებული და განხილული იქნება მიუკერძოებლად და ობიექტურად, რითაც ხელი შეეწყობა მუნიციპალოტეტის მზაობას, გამოხატოს ბიზნესისადმი მეგობრული დამოკიდებულება და მოქმედებდეს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტში საკმაოდ ეფექტურია ადგილობრივ დონეზე მოსაკრებლებისა და გადასახადების მოქნილი სისტემა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებულია ნორმატიული აქტები და რეგულაციები, გამარტივებულია პროცედურები ქონების რეგისტრაციასთან, მუნიციპალიტეტის აუქციონებში და ტენდერებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მოხსნილია რთული ბიუროკრატიული პროცედურები მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაციები მოქმედი ნორმატიული აქტების შესახებ, აუქციონების, ტენდერების შესახებ, რაც საჯაროა და ხელმისაწვდომი ნებისმიერი კერძო სექტორისათვის. ამ კუთხით მუნიციპალტეტში არსებული კერძო სექტორი არ გამოხატავს პრეტენზიას მუნიციპალიტეტის მიმართ და საკანონმდებლო ჩარჩოები მათთვის დამაკმაყოფილებელია, თუმცა მოუწესრიგებელ პრობლემად რჩება დაურეგულირებელი გარევაჭრობა და განაშენიანების და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არ არსებობა, აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილი იქნება მუნიციპალიტეტის მიერ უახლოეს პერიოდში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მუნიციპალიტეტისათვის მთის კანონის ამოქმედებაა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 10 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და იქ მცხოვრებლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და ბიზნესის დაწყების მსურველები სარგებლობენ სოციალური და საგადასახადო შეღავათებით. მათ შორის, მაღალმთიან დასახლებაში

ფიზიკური პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო და ქონების გადასახადებისგან, ხოლო საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმეები გათავისუფლებული არიან მოგების და ქონების გადასახადებისგან. მიღებული შეღავათები ბიძგს აძლევს კერძო სექტორის წარმომადგენლებს, განავითარონ ბიზნესი ისეთ ადგილებში, სადაც კანონით ბიზნესზე ორიენტირებული მოგება ითვალისწინებს შეღავათებს.

## VII. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების წინაპირობაა, ამავე დროს ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ხარისხიანი სერვისების უზრუნველყოფით. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებებზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არ არსებობს გადამზადების სასწავლო ცენტრები, პროგრამები, განსაკუთრებით, ბიზნეს უნარ-ჩვევებში, ვიწრო სპეციალობებში, არ არსებობს დასაქმების უნარების შეძენის საგანმანათლებლო რესურსი. ტურიზმის განვითარება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტია, თუმცა ამ კუთხით კვალიფიციური კადრების დეფიციტია. დასაქმებულებს განათლება აქვთ ისეთ სფეროებში, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. ასევე, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მწვავე საკითხად დგას მიგრაციის (გარე და შიდა) პროცესი, ადამიანური რესურსების გადინება მუნციპალიტეტის ტერიტორიიდან, ამავე, დროს, არასაკმარისია სათანადო პროფესიული განათლების მქონე ადგილობრივი სამუშაო ძალა იმ ადგილების შესავსებად, რომლებსაც პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდება. უმუშევართა დღევანდელი მაჩვენებელი ასახავს ადამიანური რესურსების განვითარების აუცილებლობას. ეკონომიკური განვითარება მიმართული უნდა იყოს ადამიანური რეურსების შესაძლებლობის ამაღლებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების შრომის ბაზარზე, მიგრაციის პროცესის შეჩერებაზე, დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებაზე. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოთხოვნადი პროფესიის კადრების მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების ტრენინგ-კურსების განხორციელება, უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალური მონაცემთა ბაზის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის სრულფასოვან ჩართულობას ინკლუზიურ ზრდაში და შეჩერდება კვალიფიციური კადრების გადინება მუნიციპალიტეტიდან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიცილიტეტში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა ცენტრი, შესაბამისად მიზანშეწონილია მოხდეს კადრების გადამზადება ამ კუთხით.

**ცხრილი N7. უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული მდგომარეობა**

| სექტორი | უნარ-ჩვევების კუთხით არსებული მდგომარეობა (მაგ., მნიშვნელოვანი/მცირე ნაკლებობა/შეუსაბამობა/ ჭარბი მოთხოვნა) | სავარაუდო სამომავლო მდგომარეობა (მაგ., მნიშვნელოვანი/მცირე ნაკლებობა/შეუსაბამობა/ ჭარბი მოთხოვნა) | ქმედების შესაძლო მიმართულებები |
|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა | უნარ-ჩვევების კუთხით არსებული მდგომარეობა შეუსაბამოა, საჭიროა მეტი მოტივაცია სიახლეების მიღებასა და ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით. | ფერმერების გადამზადება. | კადრების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. |
| ტურიზმი, სასტუმროები, რესტორნები, კვება | მეტი მოტივაცია სიახლეების მიღებასა და ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით, კადრების გადამზადება, | მეტი მენეჯერების, მზარეულების, გიდების გადამზადება. | კადრების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. |

## VIII. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მიმზიდველ ადგილად ითვლება საცხოვრებლად, სამუშაოდ, ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს არსებული რესურსის გათვალისწინებით გააჩნია მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა. ესენია: ეკოტურზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი. სამკურნალო ტურიზმის კუთხით წყალტუბო მსოფლიო დონის კურორტია, იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. სამკურნალო ტურიზმის

განვითარების კუთხით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მაღალი სტანდარტების ოთხი აბაზანა, რომელიც ემსახურება როგორც დამსვენებლებს, ასევე, ვიზიტორებს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს სეზონურ კურორტს, ეს არის კურორტი წელიწადის 12 თვის განმავლობაში. ასევე, ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა კარსტული მღვიმეები. მღვიმეების მიკროკლიმატი გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ და მეტად ეფექტური შედეგი აქვს. ,,პრომეთეს'' მღვიმეში შესაძლებელია ნავებით გასეირნება. განსაკუთრებული კლიმატი ახასიათებს ,,სათაფლიის'' მღვიმეს. სათაფლიის ნაკრძალი გამოირჩევა თავისი ისტორიითა და სილამაზით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შეემატა ასევე, ბუნების ძეგლი ,,საწურბლიას'' მღვიმე , რომელიც გამოირჩევა უნიკალური მიკროკლიმატით, მას ასთმური დაავადებების სამკურნალო ეფექტი აქვს. უცხოელი ტურისტების დიდ ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სწორედ ეკო და სათავგადასავლო ტურზმი იზიდავს. გარდა დაცული ტერიტორიებისა, მღვიმეებისა, ასევე, ისოტრიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის სხვადასხვა ისტორიული ძეგლები: თამარის ციხე დარბაზი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის უძველესი ეკლესია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ასევე გიორგი ახვლედიანისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმები. დიდი ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი „ოტიას ეზო“. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივ დღესასწაულს ,,შემოდგომის წყალტუბოს'', რომელიც ყოველი წლის შემოდგომაზე იმართება, დღესასწაულზე მოწვეულები არიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან დაძმობილებული ქვეყნების წარმომადგენლები, რითაც ხელი ეწყობა ვიზიტორებისა და საერთაშორისო დონეზე წყალტუბოს საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას და პოპულარიზაციას.

მიუხედავად ცნობადობისა, აუცილებელია მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო აბრა-სლაიდის ვიდეო-რგოლის მოწყობა, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვასა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება, რითაც ხელი შეეწყობა საერთაშორისო დონეზე წყალტუბოს საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, პოპულარიზაციისა და რეკლამირების შედეგად სტრატეგიული პარტნიორების, ტურისტებისა და ინვესტორების მოზიდვას, მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ასევე, მუნიციპალიტეტის არ გააჩნია სათანადო საინფორმაციო არხები, რომელიც გაზრდის გამჭირვალობასა და დაეხმარება ბიზნესს მიიღოს ინფორმაცია ერთ ადგილას.

ცხრილი N8. როგორ აღიქვამენ მოქალაქეები თავის მუნიციპალიტეტს

| *მოწონებები/ იდენტიფიცირებული ძლიერი მხარეები გარედან ჩვენ მიერ პროეცირებულ გამოსახულებაში* | *მნიშვნელობის ხარისხი (1-5)* | *რა არ მოწონთ/იდენტიფიცირებული სუსტი მხარეები გარედან ჩვენ მიერ პროეცირებულ გამოსახულებაში* | *მნიშვნელობის ხარისხი (1-5)* |
|---|---|---|---|
| ტურისტული რესურსის მრავალფეროვნება: ეკო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი; | *5* | *მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის დაბალი დონე (მარკეტინგული გეგმის არ არსებობა)* | *3* |
| მრავაფეროვანი კუტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა: ბუნებრივი ძეგლები, მღვიმეები, რადონული წყლები. | *5* | *მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის დაბალი დონე* | *3* |
| მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ დაინტერესება; | *4* | *მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ნაკლები ინფორმირება* | *3* |
| *შესაძლო ქმედებები, რომლებიც მარტივად შეიძლება ჩაითვალოს* | | | |
| მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო აბრა-სლაიდის ვიდეო-რგოლის მოწყობა, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვასა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება | | | |

| | |
|---|---|
| ტურისტებისა და ინვესტორების მოზიდვა, მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. | |

## 7. SWOT ანალიზი

ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზი, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც მოიცავს მთლიან ადგილობრივ არეალს და აღნიშნულით გამოვლენილ იქნა ეკონომიკის მამოძრავებლები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკას და გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ საერთო ხედვისა და სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების დროს.

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისთან სიახლოვე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთაშორისო აეროპორტის მდებარეობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გავლა;<br>• ტურისტული რესურსის მრავალფეროვნება-ეკო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი;<br>• მრავაფეროვანი კუტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა;<br>• სოფლის მეურნეობის ზრდის ტენდენცია, აგროტურზმის განვითარებისათვის სათანადო რესურსის არსებობა;<br>• მუნიციპალიტეტის 10 სოფლისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება და მათზე გავრცელებული საგადასახადო და სოციალური შეღავათები;<br>• მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალით დაინტერესება; | • შრომის დაბალი ანაზღაურება, რაც იწვევს სამუშაო ძალის გადინებას მუნიციპალიტეტიდან;<br>• კომერციული კრედიტების სიძვირე და კაპიტალის ალტერნატიული წყაროების არარსებობა;<br>• ფართოდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო ბაზის არ არსებობა საინვესტიციო შესაძლებლობებზე;<br>• მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა და პოპულარიზაცია;<br>• ფაქტობრივი უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები და დასაქმების მწირი შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის;<br>• პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობა;<br>• გადამზადებული ადგილობრივი გიდების ნაკლებობა. |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| • ტურისტების ზრდის ტენდენცია;<br>• ინვესტორების დაინტერესება და მოზიდვა;<br>• ტურისტული მარშუტების განვითარება;<br>• მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი მეტი სახელმწიფო პროგრამების არსებობა; | • ბუნებრივი მოვლენები;<br>• გარემოს დაბინძურების რისკები;<br>• შრომისუნარიანი და პროდუქტული მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე; |

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის SWOT ანალიზი შემუშავდა ადგილობრივი პარტნიორობის აქტიური ჩართულობით გეგმის სამუშაო ჯგუფის მიერ. ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზი, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც მოიცავს მთლიან ადგილობრივ არეალს და აღნიშნულით გამოვლენილ იქნა ეკონომიკის მამოძრავებლები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკას და გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ საერთო ხედვისა და სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების დროს. ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებული გეგმის ღონისძიებები მიმართულია ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარებისკენ. მუნიციპალიტეტს ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით აქვს იმის შესაძლებლობა, რომ

ხელი შეუწყოს ტურისტების ზრდის ტენდეციას, ინვესტორების დაინტერესებასა და მოზიდვას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტს გააჩნია იმის რესურსი, რომ ძლიერი მხარისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით აღმოფხვრას ის სუსტი მხარეები, რაც ძირითადად მოიცავს: უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს, კომერციული კრედიტების სიძვირეს, ინვესტიციების დაბალ მაჩვენებელს, ტურისტული პოტენციალის არასაკმარისობასა და ცნობადობას.

მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანი: თუ რისი მიღწევა სურს ადგილობრივად ზრდის, განვითარებისა და დასაქმების თვალსაზრისით და გეგმის განხორციელების შედეგად, მიიღწევა იმის აღწერით, თუ როგორ ეკონომიკურ მომავალს ისურვებდნენ დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისათვის. სწორედ ამ ხედვის საფუძველზე გაიწერა გეგმის მიზნები, ღონისძიებები და განსახორციელებელი პროექტები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის, თითოეული თემატური ბლოკისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით შემუშავებულ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები.

## 8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები

### სტრატეგიული ხედვა

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად განვითარებული საერთაშორისო დონის სპა-კურორტი, მიმზიდველი ადგილით ცხოვრებისა და მუშაობისთვის.**

*სტრატეგიული მიზნები*

1 .ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია;
2. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სერვისებით მომსახურება
3. მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის განვითარება;

## 9. სამოქმედო გეგმა

პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ ჩამოყალიბებული ხედვისა და სტრატეგიული მიზნების საფუძველზე შემუშავდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდეს კონკრეტულ ვადებში. გეგმაში გაწერილია ის მთავარი ქმედებები, რომელთა განხორციელების საფუძველზე აქტიურად შეეწყობა ხელი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უზრუნველყოფილ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი პირობების შექმნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ძირითადი ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დააფინანსებს საკუთარი ბიუჯეტიდან, ამასთან ღონისძიებების ნაწილი განხორციელდება სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორის თანამონაწილეობით. ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად და დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

ცალკეული პროექტებისათვის და მთლიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმისათვის ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

| *თემატური ბლოკები* | *მთავარი მიზნები* | *ქმედებები* | *ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)* | *მონაწილე პარტნიორები* | *საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)* | *მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები **(Output (Product) indicators and targets)*** | *შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები **(Outcome (Result) Indicators and targets)*** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიწა და ინფრასტრუქტურა<br><br>2. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი<br><br>3.უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება; | 1. ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია | 1.1ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა. | 2019-2020 | 1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2.დონორი ორგანიზაცია | 500 000 ლარი<br><br>172 413 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1.მოწყობილია კინო-თეატრი, გასართობი ცენტრი, ობიექტები<br>2. შშმ პირებისათვის მოწყობილია პანდუსები,ხმოვანი შუქნიშნები.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1.მოწყობილი ობიექტების რაოდენობა და ფართი.<br>2.მოწყობილი პანდუსების სიგრძე.<br>3.ხმოვანი შუქნიშნების რაოდენობა. | **საბოლოო შედეგი**<br>1.განვითარებულია სათავგადასავლო ტურიზმი.<br>2.მოზიდულია ახალგაზრდები და ტურისტები.<br>3.მიღწეულია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა.<br>4. ამაღლებულია მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხი.<br>5.შშმ პირებისათვის შექმნილია ადაპტირებული გარემო.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1.დასაქმებულ პირთა რაოდენობა<br>2.ვიზიტორებისა და ტურისტების რაოდენობა<br>3.შშმ პირების რაოდენობა. |
| | | 1.2 სკაუტური ბანაკების მოწყობა მღვიმეების მიმდებარე ტერიტორიასა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე | 2019-2020 | 1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2დონორი ორგანიზაციეა | 30 000 ლარი<br><br>10 344 ევრო | **მყისიერი შედეგი:**<br>1. მოწესრიგებულია დაბანაკებისათვის ინფრასტრქტურა;<br>2.დაბანაკებულია 100-200 სკაუტი;<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1.ბანაკის მონაწილეთა რაოდენობა; | **საბოლოო შედეგი:**<br>1.განვითარებულია ეკოტურიზმი.<br>2.გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა.<br>3. გაზრდილია ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1.ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა |
| | | 1.3 სარეკლამო აბრა-სლაიდის (ვიდეო რგოლი) მოწყობა | 2019-2020 | 1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2.დონორი ორგანიზაცია | 50 000 ლარი<br><br>17 241 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1.მოწყობილია სარეკლამო აბრა-სლაიდი (ვიდეო-რგოლი)<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები**<br>სარეკლამო აბრა-სლაიდის (ვიდეო-რგოლი) მაყურებელთა რაოდენობა. | **საბოლოო შედეგი**<br>1.ამაღლებულია მუნიციპალიტეტის და საზოგადოების ცნობადობა.<br>2.პოპულარიზაციისა და რეკლამირების შედეგად მოზიდულია სტრატეგიული პარტნიორები, ტურისტები და ინვესტორები.<br>3.გაზრდილია საინვესტიციო მიმზიდველობა.<br>5.ხელშეწყობილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1.ტურისტებისა და ვიზიტორთა მზარდი დინამიკა.<br>2. მოზიდული ინვესტიციების მზარდი დინამიკა |
| | | 1.4 აგრო ტურიზმის განვითარებისა | 2019-2020 | 1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. | 30 000 ლარი | **მყისიერი შედეგი**<br>1.დაინტერესებულია ტურისტები | **საბოლოო შედეგი**<br>1.განვითარებულია სასოფლო ტურიზმი. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება მაღალმთიან სოფლებში. | | 2.დონორი ორგანიზაცია<br><br>3.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 10 344 ევრო | ადგილობრივი ტრადიციებით<br>2.მოწყობილია ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვები<br>3. შექმნილია ერთიანი მონაცემთა ბაზა აღწერილი მოსახლეობისა და მათი შესაძლებლობების შესახებ.<br>4.გამზადებული და დატრენინგებულია ადგილობრივი ფერმერები.<br>5.დაბინავებულია ტურისტები ფერმერთა სახლებში.<br>6.დაგეგმილია მარშუტები მაღალმთიან სოფლებში.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები**<br>1.გამზადებულ-დატრენინგებული კადრების რაოდენობა<br>2. ტურისტთა რაოდენობა. | 2.ხელშეწყობილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრება.<br>3.გაზრდილია წარმოებული პროდუქციის ცნობადობა<br>4.შეჩერებულია მოსახლეობის მიგრაცის პროცესი მაღალმთიან სოფლებში.<br>5. მოზიდულია ტურისტები სოფლებში.<br>6. დაინტერესებულია აგრო ტურიზმის განვითარების კუთხით ადგილობრივი მოსახლეობა და ამაღლებულია საზოგადოების ცნობიერება უნარ-ჩვევების სრულყოფისა და კვალიფიკაციის მიმართულებით.<br>7.ხელშეწყობილია ადგილობრივი სასტუმროების განვითარება.<br>8.გაზრდილია სოფლად დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1.ორგანიზებული ტრენინგები და სასწავლო კურსების რაოდენობა.<br>2.დაინტერესებული ფერმერთა რაოდენობა. |
| 1.მიწა და ინფრასტრუქტურა<br><br>2. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი<br><br>3.უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება; | 1. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სერვისებით მომსახურება | 2.1.ტურისტებისათვის მიმზიდველი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა | 2019-2020 | 1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2.საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 100 000 ლარი<br><br>34 482 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1.მოწყობილია ველო-ბილიკი,პარკინგის ადგილები, ტრენაჟორები.<br>2.შეძენილია ველოსიპედები.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები**<br>1.ველო-ბილიკის სიგრძე<br>2.საპარკინგე ადგილების რაოდენობა.<br>3.ველოსიპედების რაოდენობა.<br>4ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა. | **საბოლოო შედეგი**<br>1.შექმნილია ტურისტებისათვის მიმზიდველი ინფრასტრუქტურა<br>2.დამკვიდრებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი.<br>3.გახანგრძლივებულია ტურისტული სეზონი<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1.ჯანსაღი ცხოვრებით დაინტერესებული პირების მზარდი დინამიკა.<br>2.გახანგრძლივებული ტურისტული სეზონის ვადა. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2.2. ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებელი აბრების მოწყობა | 2019-2020 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტო. | 30 000 ლარი<br><br>10 344 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1. მოწყობილი და დამონტაჟებულია ტურისტული მიმართულების მანიშნებლები.<br>2.ადვილად მისაგნებია ტურისტული ობიექტები<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები**<br>1.მანიშნებლების განთავსების ადგილების განსაზღვრა.<br>2.მანიშნებლების რაოდენობა | **საბოლოო შედეგი**<br>1.მოწესრილგებულია ტურისტების და ვიზიტორების მოძრაობა.<br>2.გაზრდილია ტურისტების და ვიზიტორების კმაყოფილების ხარისხი<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1.კმაყოფილი ტურისტებისა და ვიზიტროების რაოდენობა |
| | | 2.3.მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება. | 2019-2020 | 1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2.ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაია | 60 000 ლარი<br>20 689 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1.დამზადებულია ბროშურა-გზამკვლევი, კომპაქტური რუკით.<br>2.შექმნილია საინვესტიციო გარემოს ვებ-გვერდი.<br>3.შექმნილია საიმიჯო ვიდეო-რგოლი.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები**<br>1. ტურისტული გზამკვლევების რაოდენობა<br>2.საიმიჯო ვიდეო-რგოლის მაყურებელთა რაოდენობა. | **საბოლოო შედეგი**<br>1.გაზრდილია მუნიციპალიტეტის პოპულარობა და ცნობადობა.<br>2.გაზრდილია პოტენციური ინვესტორების ინფორმირება და დაინტერესება.<br>3.ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების შესახებ.<br>4.გაზრდილია ტურისტების კმაყოფილების ხარისხი.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1.ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა. |
| | | 2.4 ტურისტული მომსახურების სფეროში ადამიანური რესურსების მომზადება/გადამზადების ტრენინგ-კურსების განხორციელება. | 2019-2020 | 1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2.ბიზნეს სექტორი | 15 000 ლარი<br><br>5172 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1. ჩატარებულია ტრენინგები.<br>2. გადამზადებული და დატრენინგებულია კადრები (გიდები, მზარეულები, მძღოლები)<br>3.ამაღლებულია კვალიფიკაცია ტურიზმის განვითარების სფეროში.<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები**<br>1.ორგანიზებული ტრენინგები და სასწავლო კურსების რაოდენობა<br>2.ტრენინგებსა და სასწავლო კურსებში მონაწილეთა ოდენობა | **საბოლოო შედეგი**<br>1. დაინტერესებულია ადგილობრივი მოსახლეობა ტურიზმის სექტორში უნარ-ჩვევების სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.<br>2.გაუმჯობესებულია ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხი.<br>3.გაზრდილია ტურისტების კმაყოფილების ხარისხი.<br>4.გაზრდილია მოქალაქეთა სამსახურებრივი საქმიანობის და დასაქმების ეფექტურობა<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1. მომხმარებელთა კმაყოფილების დონე. |
| 1.მიწა და ინფრასტრუქტურა | მეწარმეთა საქმიანობის | 3.1. საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ | 2019-2020 | 1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br>2. დონორი | 50 000 ლარი<br>17 241 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1.შექმნილია საინვესტიციო პაკეტები | **საბოლოო შედეგი**<br>1. ხელშეწყობილია საინვესტიციო საქმიანობის |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი<br><br>3. წვდომა ფინანსებზე | განვითარების ხელშეწყობა. | საინვესტიციო პაკეტების მომზადება. | | ორგანიზაცია | | 2.დაინტერესებულია პოტენციური ინვესტორები.<br>3.მომზადებულია პუბლიკაციები.<br>4.შემუშავებულია საინვესტიციო წინადადებები პოტენციური ინვესტორისთვის.<br>5.შემუშავებული საინფორმაციო ბაზა, რომელიც ხელმისავდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.<br>***მონიტორინგის მაჩვენებლები***<br>1.შექმნილი საინვესტიციო პაკეტების რაოდენობა. | განხორციელება.<br>2.გავრცელებულია საინვესტიციო პაკეტების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე.<br>3.მომზადებულია საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციები.<br><br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა და მოცულობა. |
| | | 3.2 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება. | 2019-2020 | 1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2. დონორი ორგანიზაცია<br><br>3.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 30 000 ლარი<br>10 344 ევრო | მყისიერი შედეგი<br>1.მოწყობილია გამოფენა-გაყიდვები.<br>2.რეალიზებულია ადგილობრივი ნაწარმი.<br>3.მომზადებულია საინფორმაციო და სარეკლამო მასალები, ბუკლეტები.<br>მონიტორინგის მაჩვენებლები<br>1.გამოფენა-გაყიდვების რაოდენობა<br>2. გამოფენა-გაყიდვებში მონაწილე პირთა რაოდენობა.<br>3.რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა.<br>4.საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეთა რაოდენობა | საბოლოო შედეგი<br>1. გაზრდილია საერთაშორისო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობა;<br>2.გაზრდილია საექსპორტო ქვეყნების გეოგრაფიული არეალი.<br>3. მოზიდულია ინვესტიციები.<br>4.გაზრდილია მუნიციპალიტეტის პოპულარობა და ცნობადობა<br>5.გაზრდილია პოტენციური ინვესტორების ინფორმირებულობა და დაინტერესება.<br>6. გაზრდილია ადგილობრივი აგროპროდუქტებით გაყიდვით დაინტერესება.<br>საბოლოო შედეგის ინდიკატორები<br>1. ექსპორტის ზრდა |
| | | 3.3.უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალური მონაცემთა ბაზის შექმნა | 2019-2020 | 1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2.სტატისტიკის ეროვნული სამსახური | 20 000 ლარი<br>6896 ევრო | **მყისიერი შედეგი**<br>1.შექმნილია ელექტრონული ბაზა.<br>2.შეძენილია კომპიუტერები<br>**მონიტორინგის მაჩვენებლები**<br>1. უმუშევართა რაოდენობა<br>2. დასაქმებულთა რაოდენობა | **საბოლოო შედეგები**<br>1. ხელმისაწვდომია უმუშევართა მონაცემების ერთიანი ბაზა.<br>2.იდენტიფიცირებულია პოტენციური დამსაქმებლები<br>3. შეთავაზებულია პოტენციური კადრები.<br>3.უმუშევართა ერთიანი ბაზა მიბმულია პოტენციური დამსაქმებლების სერვისებთან.<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები**<br>1.უმუშევართა დასაქმების |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | შესაძლებლობა და მაჩვენებელთა ზრდა. |
| | | 3.4.საინფორმაციო /საკონსულტაციო ცენტრის შექმნა. | 2019-2020 | 1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.<br><br>2. ბიზნეს სექტორი. | 30 000 ლარი<br><br>10 344 ევრო | მყისიერი შედეგი:<br>1.გახსნილია საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ დამწყებ და არსებულ ბიზნესებს უწევს კონსულტაციას ახალი ბიზნესების ან არსებული ბიზნესების გაფართოების მიმართულებით სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე.<br>2.დაგეგმილია მრგვალი მაგიდების და დისკუსიების ორგანიზება<br>3.შექმნილია შესაბამისი პოზიცია კონსულტაციების გაცემის მიზნით.<br>მონიტორინგის მაჩვენებლები:<br>1.საკონსულტაციო ცენტრის სერვისების მომხმარებელთა რაოდენობა;<br>2.ბიზნეს კონსულტანტების რაოდენობა | საბოლოო შედეგი:<br>1.ინფორმირებულია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე.<br>2.გაზრდილია ინვესტიციების მოცულობა.<br>საბოლოო შედეგის ინდიკატორები:<br>1ინფორმირებული ბიზნესმენების რაოდენობა;<br>2.ბიზნეს კონსულტანტები რაოდენობა |

## 10.დაფინანსების სქემა

| *ღონისძიებები* | *საორიენტაციო ღირებულება* | *დაფინანსებისწყარო* | | | | *წყვეტა დაფინანსებაში* | *შენიშვნები* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | *ადგილობრივი ბიუჯეტი* | *მაღალი დონის ბიუჯეტი* | *ბიზნესი* | *დონორები* | | |
| 1.1 ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა. | 500 000 ლარი<br>172 413 ევრო | 400 000 ლარი<br><br>137 931 ევრო | | | | 100 000 ლარი<br><br>34 482 ევრო | |
| 1.2 სკაუტური ბანაკების მოწყობა მღვიმეების მიმდებარე ტერიტორიასა და | 30 000 ლარი<br>10 344 ევრო | 20 000 ლარი<br><br>6896 ევრო | | | | 10 000 ლარი<br>3448 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე. | | | | | | ევრო | |
| 1.3 სარეკლამო აბრა-სლაიდის (ვიდეო რგოლის) მოწყობა | 50 000 ლარი<br>17 241 ევრო | 30 000 ლარი<br>10 344 ევრო | | | | 20 000 ლარი<br>6896 ევრო | |
| 1.4 აგრო ტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება მაღალმთიან სოფლებში. | 30 000 ლარი<br>10 118 ევრო | 15 000 ლარი<br>5000 ევრო | 5000 ლარი<br>1670 ევრო | | | **10 000 ლარი<br>3333 ევრო** | |
| 2.1.ტურისტებისათვის მიმზიდველი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა | 100 000 ლარი<br><br>33 400 ევრო | 50 000 ლარი<br><br>16 700 ევრო | 50 000 ლარი<br><br>16 700 ევრო | | | | |
| 2.2. ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებელი აბრების მოწყობა | 30 000 ლარი<br><br>10 000 ევრო | 20 000 ლარი<br><br>6670 ევრო | 10 000 ლარი<br>3333 ევრო | | | | |
| 2.3.მარკეტინგული ღონისძიებების განხორცილება. | 60 000 ლარი<br><br>20 000 ევრო | 40 000 ლარი<br><br>13335 ევრო | 20 000 ლარი<br><br>6670 ევრო | | | | |
| 2.4 ტურისტული მომსახურების სფეროში ადამიანური რესურსების მომზადება/გადამზადების ტრენინგ-კურსების განხორციელება | 15 000 ლარი<br><br>5172 ევრო | 10 000 ლარი<br><br>3448 ევრო | | 5000 ლარი<br><br>1724 ევრო | | | |
| 3.1. საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ საინვესტიციო პაკეტის შექმნა | 50 000 ლარი<br><br>17 241 ევრო | 30 000 ლარი<br><br>10 344 ევრო | | | | 20 000 ლარი<br><br>6896 ევრო | |
| 3.2 ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება. | 30 000 ლარი<br>10 118 ევრო | 15 000 ლარი<br>5000 ევრო | 5000 ლარი<br>1670 ევრო | | | 10 000 ლარი<br>3333 ევრო | |
| 3.3.უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალური მონაცემთა ბაზის შექმნა | 20 000 ლარი<br>6896 ევრო | 15 000 ლარი<br>5000 ევრო | 5000 ლარი<br>1670 ევრო | | | | |
| 3.4.საინფორმაციო/ საკონსულტაციო ცენტრის შექმნა | 30 000 ლარი<br>10 344 ევრო | 20 000 ლარი<br>6896 ევრო | | 10 000 ლარი<br>3448 ევრო | | | |

## 11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

მონიტორინგი და შეფასება მართვის ეფექტური ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებაც გააძლიერებს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობას, რათა მიღწეულ იქნას გეგმაში დასახული მიზნები. აუცილებელია დაინერგოს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას, ეფექტურად მართოს თავისი პოლიტიკა, მიზნები და ამოცანები. პროგრამის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას ახდენს მუნიციპალიტეტის მონიტორინგის ჯგუფი ინდიკატორების გათვალისწინებით. ჯგუფი შედგება 6 კაციანი შემადგებლობისგან, საიდანაც 2 ადამიანი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობიდან, 2 - სამოქალაქო სექტორიდან, 2-ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი. მონიტორინგის ჯგუფი დაბალანსდება გენდერული თანასწორობის პრინციპზე. მინიტორინგის ჯგუფი 6 თვეში ერთხელ მუნიციპალიტეტის მერისგან ისმენს ანგარიშს პროგრამის შესრულების შესახებ. ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად შეფასდეს, თუ რამდენად აღწევს მუნიციპალიტეტი სტრატეგიული მიზნებით, ამოცანებითა და შედეგით დასახულ პრიორიტეტებს. ჯგუფი ვალდებულია მოქალაქეებს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია ამ დოკუმენტის განხორციელების, მის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებისა და გახარჯული თანხების შესახებ. ჯგუფი მიზნად ისახავს შეამოწმოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, როგორც ქმედებების შესრულება, ასევე ქმედებების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგები.

ცხრილი N 9. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

| *ქმედება* | *ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18* | *მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24* |
|---|---|---|---|---|---|
| 1.1 ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა. | 2019 -2020 | გამოცხადებულია ტენდერი შენობის რეაბილიტაციის მიზნით | მიმდინარეობს სამუშაოების განხორციელება | რეაბილიტირებულია შენობა-ნაგებობა | მოწყობილია კინო-თეატრი, გასართობი ცენტრი, შშმ პირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიეტები |
| 1.2 სკაუტური ბანაკების მოწყობა მღვიმეების მიმდებარე ტერიტორიასა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე. | 2019 -2020 | გამოცხადებულია ტენდერი ტერიტორიის მოწყობის მიზნით | მოწესრიგებულია დაბანაკებისათვის ინფრასტრუტურა. | მოწყობილია სკაუტური ბანაკები | სკაუტები დაბანაკებულია. |
| 1.3 სარეკლამო აბრა-სლაიდის (ვიდეო რგოლის) მოწყობა | 2019 -2020 | გამოცხადებულია ტენდერი ვიდეო რგოლის მოწყობის მიზნით | გამოყოფილია შესაბამისი ტერიტორია აბრის განთავსების მიზნით | მოწყობილია ვიდეო რგოლი | |
